ო ქ მ ი N 11

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი 27 ნოემბერი 2024 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ფრიდონი კუკავა
3. ბექა ხარბედია
4. ფრიდონ შონია
5. დიტო ხასია
6. ბადრი რიჟამაძე
7. ჯანსუღ ჯიმშკარიანი
8. მოგელი ხუხია
9. გურიელ ქარდავა
10. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 ნოემბრის N 50 – 502433040 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

)მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 ნოემბრის N 50-502433040 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით,

(იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“/

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე (ს/კ 45.08.21.525) არსებული 66 კვ.მ ფართი დაუტვირთავია. აღნიშნული ფართის იჯარის წესით გადაცემის თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია მოქალაქე მალხაზ მაკარაძის განცხადება, სოფლი მოსწავლე - ახალგაზრდებისთვის მ ქორეოგრაფიული სტუდიის მოწყობის მიზნით. გამომდინარე იქიდან, რომ სოფელს სხვა ალტერნატიული ფართი არ გააჩნია ზემოთ ხსენებული საქმიანობის განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნილი ფართი გადაეცეს დაინტერესებულ პირს, სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით იჯარის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით ორი წლის ვადით, წლიური საიჯარო 900 ლარის ოდენობით, რაზედაც მერიის შესაბამისი სამსახურის მხრიდან მომზადდა განკარგულების პროექტი..

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კო9ისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/